საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030182659579217

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/38759 **15 / ივნისი / 2017 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით (2017 წლის 15 მაისის Nას-100-93-2017) სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დაეკისრა ნიკოლოზ გვახარიას სასარგებლოდ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის გამო კომპენსაციის ანაზღაურება. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საჭიროა სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო (აპარატი) (პროგრამული კოდი-35 01 04 01) პროგრამით გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში განხორციელდეს დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება და „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების შემცირების ხარჯზე გაიზარდოს „სხვა ხარჯების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებები.

ასევე, გაცნობებთ, რომ „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 23 მარტის N137 დადგენილებით, „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება“ (პროგრამული კოდი-35 05 02) პროგრამის ფარგლებში, სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშემწყობი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა (დასაქმების ხელშეწყობის მოდელების პილოტირების – სამუშაო ადგილების ადაპტირებისა და შრომის ანაზღაურების სუბსიდირების გზით). აღნიშნული ღონისძიების დაფინანსება უნდა განხორციელდეს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „სხვა ხარჯების“ მუხლიდან, რისთვისაც მიმდინარე კვარტალში საჭიროა პროგრამის „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების შემცირების ხარჯზე გაიზარდოს „სხვა ხარჯების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნება.

გთხოვთ, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განახორციელოთ დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება, დანართის შესაბამისად.

პატივისცემით,

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი ნოე ქინქლაძე

6. [illegible]